ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების გაერთიანებული სხდომის

ო ქ მ ი N29

სხდომის ჩატარების დრო:
25 ივლისი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული დარბაზი N210

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ:

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრები:
მაია სიმონიძე, ზაქრო მამასახლისი, ბესიკ ხამაშურიძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები:

ბაქარ მახარაძე, გია ბასილაძე, პაატა ლილუაშვილი, გაგა მანაგაძე, მარეხი ნიჟარაძე, მერაბ ჭოხონელიძე.

სულ: 14 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, მამუკა რიჟამაძე, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ირაკლი შენგელია, ელეონორა არჩაია, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

სულ: 10 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **იუზა უგულავა.**
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და

ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **თინათინ ბერიშვილი.**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სპეციალური სერვისები"-ის ხელმძღვანელი **თენგიზ არსენიძე.**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთგანათების სერვისი"-ის ხელმძღვანელი **მალხაზ ბასილაძე.**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ხელბურთის კლუბი „ქუთაისი 2015"-ის ხელმძღვანელი **ზურაბ ყაველაშვილი.**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ხებურთის კლუბი „ქუთაისი 2015"-ისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი მართვეს" ბუღალტერი **ვალერი ფხაკაძე.**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების" ხელმძღვანელის მოადგილე **ვაჟა უნგიაძე.**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების" ბუღალტრული აღრიცხვის და სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი **ნარგიზა ხვადაგიანი.**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი"-ის შესყიდვების სპეციალისტი **ლაშა ლიპარტიანი.**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი"-ის ბუღალტერი **ანა ერაძე.**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი მართვეს" ხელმძღვანელი **გიორგი ჩხიკვაძე.**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი 2010"-ის ხელმძღვანელი **ტრისტან ჭაბუკიანი.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი **ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი **ლაშა გვენეტაძე,** ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **იმედა საღინაძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების (მისამართი: „ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37, სადგური ქუთაისი II-ის მიმდებარე ტერიტორია) გასხვისების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს ეროვნული არქივისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვს წესით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

6. ა(ა)იპ „სპეციალური სერვისების" მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ;

7. ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისის" მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ;

8.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2022 წლის ივლისიდან 2023 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ;

9.შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის" მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ;

10.ა(ა)იპ ხელბურთის კლუბი „ქუთაისი 2015"-ის მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ;

11.შპს „საფეხბურთო კლუბი მართვე"-ს მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ .

12.შპს საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010"-ის მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ;

13.ა(ა)იპ „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების" მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ბატონმა იუზა უგულავამ: „მეორე და მესამე საკითხებს ადგილი უნდა შეენაცვლოს, ვინაიდან ჯერ ქონებას უნდა მოეხსნას სტატუსი და შემდეგ დაემატოს გეგმას და გამომდინარე აქედან დღის წესრიგის პროექტიც შეიცვალოს შემდეგნაირად"

1.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების (მისამართი: „ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37, სადგური ქუთაისი II-ის მიმდებარე ტერიტორია) გასხვისების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს ეროვნული არქივისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგივს წესით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

6. ა(ა)იპ „სპეციალური სერვისების“ მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ;

7. ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისის“ მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ;

8.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2022 წლის ივლისიდან 2023 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ;

9.შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის“ მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ;

10.ა(ა)იპ ხელბურთის კლუბი „ქუთაისი 2015“-ის მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ;

11.შპს „საფეხბურთო კლუბი მართვე“-ს მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ .

12.შპს საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010“-ის მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ;

13.ა(ა)იპ „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 14 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, მამუკა რიჟამაძე, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ირაკლი შენგელია, ელეონორა არჩაია, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „მოგესალმებით, წარმოდგენილია ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი, ნუსხაში ხდება ერთი ობიექტის დამატება, კერძოდ, ვამატებთ თაბუკაშვილის ქუჩა N 96ა-ში მდებარე 5133 კვ.მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთს.“

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 14 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, მამუკა რიჟამაძე, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ირაკლი შენგელია, ელეონორა არჩაია, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების (მისამართი: „ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37, სადგური ქუთაისი II-ის მიმდებარე ტერიტორია) გასხვისების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ეხება შემდეგ საკითხს, 2011 წელს ეს ქონება გადმოცემულ იქნა ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის ძირითადი ქონების სახით, სადაც მაშინ ფუნქციონირებდა რკინიგზის პოლიციის განყოფილება, ძალიან ბევრი წელია, რაც ეს ორსართულიანი შენობა უფუნქციოდაა, არ აქვს კარ-ფანჯარა, მიტოვებულია და წარმოადგენს ანტისანიტარიის ბუდეს, პროექტს თან ახლავს ყოველივე ამის ამსახველი ფოტომასალა, შემოვდივართ წინადადებით, მოეხსნას აღნიშნულ ქონებას სტატუსი, რათა მოხდეს შემდეგ მისი პრივატიზება, ვინაიდან, კიდევ ავღნიშნავ, რომ არანაირი ადმინისტრაციული ფუნქცია და დანიშნულება არ გააჩნია შენობას, კვადრატულობას რაც შეეხება არის 770 კვ.მეტრის ფართობის, ფაქტობრივად მიწის ნაკვეთი სრულად ათვისებულია და განთავსებულია შენობა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „აქვე დავამატებ, რომ როგორც განუსხვისებელი ქონება თავის დროზეც არასწორად გადმოეცა ჩვენს მუნიციპალიტეტს, რადგან ძირითადი ქონება ნიშნავს შენი უფლებამოსილების განხორციელებას, რაშიც შეზღუდული იყო მერია, გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია

შევუცვალოთ სტატუსი, შეფასებულია 500 000 ლარად და მისი პრივატიზებით შემოსული თანხა ბიუჯეტში მობილიზდება."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 14 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, მამუკა რიჟამაძე, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ირაკლი შენგელია, ელეონორა არჩაია, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების (მისამართი: „ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37, სადგური ქუთაისი II-ის მიმდებარე ტერიტორია) გასხვისების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მესამე საკითხთან

დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 14 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, მამუკა რიჟამაძე, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ირაკლი შენგელია, ელეონორა არჩაია, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს ეროვნული არქივისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „ცენტრალურმა არქივმა მოგვმართა თხოვნით, მის მიმდებარედ ირაკლი აბაშიძის გამზირზე, 1500 კვ.მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, განვითარების მიზნით უნდათ გააკეთონ დამატებითი სივრცეები, რომელთა პროექტებიც წარმოდგენილია."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან

დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 14 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, მამუკა რიჟამაძე, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ირაკლი შენგელია, ელეონორა არჩაია, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს ეროვნული არქივისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „საკითხი ეხება ლესელიძის ქუჩაზე მიწის ნაკვეთს, რომელზეც განთავსებულია ჯომარდობის გამშვები ბაზა, ამ მიწის ნაკვეთს, თავის შენობა-ნაგებობით გადავცემთ ა(ა)იპ სპორტულ დაწესერბულებათა გაერთიანება-ს უზუფრუქტის ფორმით."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან

დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 14 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, მამუკა რიჟამაძე, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ირაკლი შენგელია, ელეონორა არჩაია, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მექვსე საკითხის- „ა(ა)იპ „სპეციალური სერვისების" მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ"

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სპეციალური სერვისები"-ის ხელმძღვანელმა, ბატონმა **თენგიზ არსენიძემ**: „2023 წლისათვის ა(ა)იპ „სპეციალური სერვისებში" დაიგეგმა საბიუჯეტო პროგრამის სახსრების გამოყენება ჯამში 7 458 000 ლარის ოდენობით (03.01 - ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა) და საკუთარი სახსრების გამოყენება 900 000,0 ლარის ოდენობით (03.01 - ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა). აქედან ორგანიზაციამ ასიგნების სახით გამოიყენა 3 112 650,61 ლარი და 346 239,64 ლარი საკუთარი სახსრებიდან. ა(ა)იპ „სპეციალური სერვისებმა" დამატებით მიიღო 514 792,40 ლარის შემოსავალი (დამატ. მომსახურება ურნების გამოყენებით - 489 598,24 ლარი; სხვა დამატებითი მომსახურებიდან - 3 025ლ; ცხოველთა თავშესაფარში გაწეული მომსახურებით - 6 748 ლარი; დეზინფექცია დერატიზაციის მომსახურებიდან - 5 775 ლარი; მაკულატურის რეალიზაციით - 9 646,10 ლარი და სხვა შემოსავლები - 0 ლარი). ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილ იქნა საყოფაცხოვრებო ნარჩენი დაახლოებით 25 176,1 ტონა. დაიგავა და დასუფთავდა - 428 495 780 მ² ქალაქის ქუჩები და ადმინისტრაციული შენობა. მოირწყა და ჩაირეცხა 500 000 მ² ქალაქის ქუჩა, ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით ქალაქში რამოდენიმეჯერ თოვლისაგან გაიწმინდა ქუთაისში არსებული ხიდები, ქუჩები, საფეხმავლო ტროტუარები, რისთვისაც გაიხარჯა 17,326 ტონა ტექნიკური მარილი და 43,32 მ³ ქვიშა.

დაიწნეხა ქალაქის ტერიტორიიდან მოპოვებული 152 შეკვრა მუყაო და 6 შეკვრა პლასტმასი, 2022 წლიდან ნაშთის სახით გადმოგვყვა 34 შეკვრა მუყაო და 18 შეკვრა პლასტმასი. აქედან 120 შეკვრა მუყაო გაიყიდა და ორგანიზაციამ დამატებით შემოსავლების სახით მიიღო 9446,1 ლარი. სამსახურმა 2023 წლისათვის სამსახურმა მწვანე ნარჩენების დაქუცმაცების შედეგად 28,5 ტონა საკომპოსტე მასალა გადაამუშავა (2022 წლიდან გადმოსული საკომპოსტე მასალა 76,5ტ და 2,5ტ მზა კომპოსტი). გადაიბელა და სხვლა-ფორმირება ჩაუტარდა 244 ძირ ხეს. მოიჭრა გამხმარი და სტიქიით დაზიანებული 93 ძირი ხე. დაიმორა 170.50 m^3 საშეშე მერქანი, რითაც დაკმაყოფილდა 114 ბენეფიციარი. სულ მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნით შესრულდა 240 დაგეგმილი სამუშაო. უმეთვალყურეო ცხოველების თავშესაფარში შემოყვანილ იქნა 704 ძაღლი, 10 ლეკვი და 32 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. გაჩუქდა 62 ძაღლი, 10 ლეკვი და სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ მფლობელებს დაუბრუნდათ 32 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ევთანაზია გაუკეთდა 60 ძაღლს. ბუნებრივად გარდაიცვალა 11 ძაღლი. ოპერაცია ჩაუტარდა 619 ძაღლს, აიცრა 642 და ბუნებრივ არეალში გაიშვა 614 ძაღლი. დამატებით კერძო მოსახლეობიდან შემოყვანილი შინაური ცხოველების მომსახურებიდან ორგანიზაციამ მიიღო 6 748 ლარი. ქვეწარმავლების საწინააღმდეგოდ შეიწამლა 18560 გრძ/მ მიწის ფართობი. მღრღნელების საწინააღმდეგოდ დამუშავდა 680 694 m^2 ტერიტორია. დეზინსექციირდა, სპეციალური რეაგენტებით შეიწამლა და ლიკვიდირებულ იქნა 10 კრაზანის ბუდე და 93530 m^2 ფართობი, ასევე შეიწამლა 677 სველი წერტილი და დაიქლორა 107 000 ლიტრი წყლის სამარაგე ავზები. გაიწმინდა - 17 529 გრძივი/მეტრი სანიაღვრე არხი. ამოიწმინდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა - 953 ჭას და ცხაურს. ბალახისაგან გაითიბა - 438 830 m^2 ფართობი. შესრულდა - 258 სხვა დამატებითი სამუშაო. დამონტაჟდა - 22 ცალი სანიაღვრე ჭა და ცხაური. სულ შესრულებული სამუშაოების რაოდენობა არის 579.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე:** „თავშესაფარში რამდენი ძაღლის მოთავსება შეიძლება და რა ჯდება თვეში ერთი ძაღლის შენახვა?"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სპეციალური სერვისები"-ის ხელმძღვანელი ბატონი **თენგიზ არსენიძე:** „62 ვოლიერი გვაქვს, საიდანაც ორი არის საკარანტინო. ერთი ძაღლის შენახვა ხარჯთაღრიცხვით დაახლოებით 150 ლარამდე ჯდება, შემოყვანის შემდეგ ორი კვირით ყოვნდება ჩვენთან, უტარდება აცრები (სტერილიზაცია, კასტრაცია), აკვირდება კინოლოგი, თუ თავსებადი იქნება მისი არეალში დაბრუნება, ვაბრუნებთ უკან, თუ ვერ მოხერხდება მისი თავსებადობა არეალთან, ევთანაზიით ვაძინებთ."

კომისიის წევრი ბატონი **გიორგი კილაძე:** „დაძინება, არ არის კარგი პროცესი და გამოსავალი, რაღაც სხვა გზებიც უნდა ვეძიოთ, ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ კერძო თავშესაფარი, რომელიც იარსებებს შემოწირულობებით, როგორც არის თბილისში, სადაც შემოწირულობებს თავად საკრებულოს წევრებიც ახორციელებენ".

კომისიის წევრი, ბატონი **ზაქრო მამასახლისი:** „ამ საკითხის გადაწყვეტისას ჩიხში ვართ, არადა ყოველდღე გვესმის, რომ ბავშვები დაკბინეს და საფრთხეს წარმოადგენს მოქალაქეებისთვის".

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „რა თქმა უნდა გამოსავალი არ არის სპეციალური სერვისების მიერ ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა და უსაფრთხოების შესაბამისი ზომების მიღება (აქ იგულისხმება მათი კასტრაცია, დაბირკვა და აცრები), არამედ როგორც ევროპაში ხდება მათი სტერილიზაციის, ყველანაირი აცრის შემდგომ ისინი აღარ უნდა უბრუნდებოდნენ ძველ არეალს, მათი განთავსება უნდა მოხდეს იზოლირებულ სივრცეში, ეს საკმაოდ ძვირი დაგვიჯდება, აღნიშნულის განსახორციელებლად დაახლოებით საჭიროა ის თანხა, რაც ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შენახვისთვის არის გამოყოფილი."

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „მიმაჩნია, რომ შეიძლება ამ ეტაპზე გავაკეთოთ მონიტორინგი და აგრესიული ძაღლები მოვაშოროთ ქალაქს, განსაკუთრებით მის ცენტრალურ ნაწილს, მონიტორინგისთვის შეიძლება ისეთი სამსახურები გამოვიყენოთ, რომლებსაც სხვადასხვა ტერიტორიაზე ხშირად უხდებათ გასვლები, მაგალითად ზედამხედველობის სამსახური, ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა ურნებიც, განსაკუთრებით ქალაქის ცენტრალურ ნაწილში შეიმჩნევა მათი სიმცირე, ისინი სწრაფად ივსება და ხშირად გადავსებულია".

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „არ ყოფილა წელი, რომ ჩვენ არ შეგვემატებინოს ურნები, 200 ურნა წელსაც შევიძინეთ და 2 სპეცმანქანას მალე გადმოგვცემენ, ხშირად ურნები სწრაფად ივსება მუყაოთი, რომელიც დიდ ფართობს იჭერს და მასა არ აქვს, ვფიქრობთ მუყაოს ნარჩენების გადაყრა რაღაცით წავახალისოთ".

კომისიის წევრი, ბატონი **გიორგი კილაძე:** „მე როგორც მახსოვს წინა კომისიაზეც ვთქვით ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე, მაგალითად პუშკინის ქუჩაზე, მესამე სკოლის ჩაყოლებაზე არის განთავსებული ნარჩენების ურნები, რომლებიც ყოველდღე ივსება, აქ ბევრი ტურისტია, არ არის ლამაზი, იქნებ ნაწილობრივ მაინც შევცვალოთ ურნების ლოკაცია".

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სპეციალური სერვისები"-ის ხელმძღვანელი ბატონი **თენგიზ არსენიძე:** „ურნების ლოკაციის შეცვლა ხშირად პრობლემებს ქმნის. ქალაქის ცენტრში ეს პრობლემა გასაგებია, მაგრამ ვისაც შევთავაზეთ და მოლაპარაკება გვქონდა ყველას აქვს ასეთი პასუხი „ჩემს წინ რატო უნდა დავდგათ, სადაც იყო, იქ დადგით" და ა.შ. რაც შეეხება ურნების დაცლას, დღეში ოთხჯერ დადის პატარა მანქანა, რომელიც მხოლოდ ამისთვის მონიტორინგს ახორციელებს."

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „ტურისტულ ადგილებში მიზანშეწონილია იყოს დახურული საცავები, როგორც ეს თბილისშია რამდენიმე ადგილას, თუმცა, მათი მოწყობა საკმაოდ ძვირი ჯდება".

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „პირველ რიგში, როგორც მაჟორიტარმა, მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ თენგო არსენიძეს და მის სამსახურს, ცოტა ხნის წინ ძლიერი ნალექის დროს მიღებული ზიანის სალიკვიდაციოდ, მათ მიერ ჩატარებული სამუშაოებისათვის, აგრეთვე მინდა დავამატო, რომ იქნებ შევიმუშაოთ გეგმა, ყოველი ქუჩის რეაბილიტაციის შემდგომ სანიაღვრეების გაწმენდითი სამუშაოების ჩატარების თაობაზე, რაც უკეთეს შედეგს მოგვცემს და უფრო მომზადებული შევხვდებით სტიქიას".

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მომსახურება მომავალი წლისთვის გავიტანოთ შესყიდვაზე, ვინაიდან ააიპ-ის 20

კაციანი სამსახური ვერ შეძლებს სრულფასოვნად მოემსახუროს ქალაქს, აქ მხოლოდ ერთ ჯგუფს დავტოვებთ მიმდინარე რემონტებისათვის".

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „სატრანსპორტო საშუალებების დაქირავებისას დახარჯული გაქვს 19 ათას ლარი, რაც წლიური ასიგნების (20,2 ათასი ლარი) 94%-ია.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სპეციალური სერვისები"-ის ხელმძღვანელი ბატონი **თენგიზ არსენიძე:** „ჩვენ საკუთარი შემოსავლებიც გვაქვს, აღნიშნულით შევავსებთ მომდევნო პერიოდის ხარჯებს".

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „სამედიცინო ხარჯებმა შეადგინა 43 ათასი ლარი, რაც წლიური ასიგნების (52,1 ათას ლარი) 83,1%-ია. ეს მაჩვენებელის მაღალია".

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სპეციალური სერვისები"-ის ხელმძღვანელი ბატონი **თენგიზ არსენიძე:** „ძირითად აღნიშნული თანხა არის ძაღლების თავშესაფრისთვის გამოყოფილი და შეძენილი ის აუცილებელი სამედიცინო პრეპარატები, რაც წლის განმალობაში გვესაჭიროება."

კომისიის წევრი, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე:** „მე მხარს ვუჭერ სამსახურს, მის ხელმძღვანელობას, მიმაჩნია, რომ ოპერატიულად და ეფექტურად მუშაობენ".

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 14 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, მამუკა რიჟამაძე, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ირაკლი შენგელია, ელეონორა არჩაია, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-10, თავი შეიკავა ქალბატონმა ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა:გიორგი კილაძემ, გრიგოლ შუშანიამ და გაგა მანაგაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. წარმოდგენილი საკითხი, „ა(ა)იპ „სპეციალური სერვისების" მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ" ცნობად იქნეს მიღებული და შეფასდეს დადებითად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხის- „ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისის" მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ"

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთგანათების სერვისის"-ის ხელმძღვანელმა, ბატონმა **მალხაზ ბასილაძემ:** „ა(ა)იპ „ქუთაგანათების სერვისების" ბიუჯეტი 2023 წელს 3950 ათას ლარს შეადგენს, წინა წელთან შედარებით მეტია ხელფასების მატებისგან გამომდინარე, ძირითადი

თანხა ელექტროენერგიის ღირებულების დაფარვაზე არის გათვალისწიებული, რაც 2400 ათას ლარს შეადგენს. ჩვენ 2019-2020 წლებში შევეცადეთ ქსელის მოწესრიგებით, ჯპს სისტემით დამონტჟებით შეგვემცირებინა თანხა და 1700 ათას ლარამდე ჩამოვედით, მაგრამ ტარიფის ცვლამ გამოიწვია ეს შედეგი, რაც დღეს გვაქვს, სამსახურს უკვე შეძენილი აქვს ჯპს-ების რაღაც ნაწილი, რაც საშუალოებას მოგვცემს კიდევ შევამციროთ ელექტროენერგიის გადასახადი, მოხმარება იზრდება, ვინაიდან არის ისეთი სივრცეები, სადაც მოსახლეობა ითხოვს გარე განათების დამატებას, დღესდღეობით, სამსახურს ექსპლუატაციისთვის რაც ესაჭიროება, შეძენილი აქვს (სანათი საშუალებები, ჯიპიეს-ები). პერიოდულად ხდება დაზიანებული სანათი საშუალებების შეცვლა, რაზეც შესყიდვები გაკეთებული გვაქვს, რაც შეეხება საგზაო ნიშნებს, აუცილებელი რაც არის, შეძენილია, სპეციფიურ საგზაო ნიშნების მონტაჟს გავაკეთებთ, თუკი იქნება განაცხადი, საპატრულოსთან შეთანხმების შემდგომ ეტაპოვრივად ვახდენთ შეძენას, საღებავის მარაგი გაგვაჩნია, მაგრამ დახაზვითი სამუშაოები შეგვიფერხა ამინდებმა, ასევე, ერთ -ერთი მიზეზია ტრანსპორტის ნაკადის მატება ღამის საათებში, გვაქვს ცხელი ხაზი, რომელიც 24 საათი მუშაობს. 2 ამწე მუშაობს მუდმივად, სექტემბერის ბოლოსთვის დავხაზავთ ქალაქის ტერიტორიას. არაფინანსურ აქტივებში 80 ათასი ლარი არის გაუხარჯავი, ეს თანხა გათვალისწინებულია იმ ობიექტისთვის სადაც დღეს ვიმყოფებით, ე.წ. სასაწოყობო მეურნეობა, რომელის ნაწილი არ არის გადახურული, ამის გამო ჩამოწერილი საქონლის შენახვა ცუდ პირობებში ხდება, შესაბამისად გვინდა აღნიშნული თანხა გამოვიყენოთ სასაწყობო მეურნეობის შენობის მოსაწყობად."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე:** „მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ ოპერატიულად მუშაობთ, მაგრამ ერთი კითხვა მაქვს, საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეულის ბოლო მონაკვეთზე, სადაც კარგი ამინდის დროსაც შეფერხებაა განათებაში, მაინტერესებს რა არის მიზეზი?

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთგანათების სერვისის"-ის ხელმძღვანელი, ბატონი **მალხაზ ბასილაძე:** „ქალბატონო მარეხი, შემოწმებისას გაირკვა, რომ ორი მიმართულების აპარატი იყო გამორთული, მოკლე ჩართვის დროს შეიძლება გამორთულიყო მხოლოდ ერთი ავტომატი, შესაბამისად, ეს არის განზრახ დაზიანებული, მიუხედავად იმისა, რომ აპარატები არის დაბოქლომებული, მაინც ხდება აღნიშნული ფაქტები."

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ძველ სკვერებში დაზიანებულია განათებები, ხომ არ ფიქრობთ, რომ აღნიშნულ სკვერებში მოხდეს განათების გადაკეთება, რომ მოგვარდეს ეს პრობლემა?".

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთგანათების სერვისის"-ის ხელმძღვანელი, ბატონი **მალხაზ ბასილაძე:** „ძველ სკვერებში, რომელიც ქალაქის მიერ არის გადმოცემული, ვცდილობთ განვახოციელოთ სამუშაოები, თუმცა რაც შეეხება რეაბილიტაციის პროცესს, ეგ უნდა მოგვარდეს კაპიტალურად, რაც ჩვენს კომპეტენციას სცდება, უმჯობესი იქნება თუ წინასწარ გვეცოდინება რეაბილიტაციისას რა სახის განათებებია საჭირო".

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „ოფისის ხარჯების სახით ათვისებულია 183,6 ათასი ლარი, რაც წლიური ასიგნების 74%-ია, რამ განაპირობა აღნიშნული?"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთგანათების სერვისის"-ის ხელმძღვანელი, ბატონი **მალხაზ ბასილაძე:** „ოფისის ხარჯებში ძირითად არის საწვავზე გახარჯული თანხა, 2022 წელთან შედარებით ფასი შემცირდა და საწვავის ხარჯი შევამცირეთ, თუმცა, წლის დასაწყისში საწვავის ღირებულება გაზრდილი იყო, დიზელის საწვავის ფასი იგივე არის, მაგრამ მოხმარება გავზარდეთ, ვინაიდან შევიძინეთ გენერატორი, რომლის მეშვეობით შესადუღებელ სამუშაოებს ვახორციელებთ, აქედან გამომდინარე არის ეს მაჩვენებლები".

კომისიის წევრი, ბატონი **გიორგი კილაძე:** „რუსთაველის გამზირიდან ზვიად გამსახურდიას ქუჩის ჩაყოლებამდე არის ნაძვები და ამ ნაძვების ფონზე სამანქანო გზისთვის გარეგანათება არ არის გამართული".

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „არა მხოლოდ სამანქანო გზაზე, არამედ საფეხმავლო გზაზეც იგივე პრობლემაა".

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთგანათების სერვისის"-ის ხელმძღვანელი, ბატონი **მალხაზ ბასილაძე:** „ამ მონაკვეთზე ნაძვები ძალიან დიდია და ქარის პირობებში სანათს იოლად აზიანებს, საფეხმავლო გზებზე რუსთაველის გამზირზე ტროტუარის განათებები გავაკეთეთ და ფაქტობრივად ეს საკითხი მოგვარდა, იმ მონაკვეთზე, რომელზეც თქვენ ბრძანეთ, იქ ნაძვები იმდენად დიდია, სანათის საყრდენი რომ დავაგრძელოთ, ქარის პირობეში სანათს დააზიანებს".

კომისიის წევრი წევრი, ბატონი **გიორგი კილაძე:** „ზოგიერთ ადგილას, ვიწრო ქუჩაზე ორი ბოძი იყო ერთმანეთთან დაკავშირებული ორივე მხარეს და ამაზე ჰქონდა განათება დამაგრებული"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთგანათების სერვისის"-ის ხელმძღვანელი, ბატონი **მალხაზ ბასილაძე:** „აღნიშნული მონაკვეთი რუსთაველის გამზირზე არის 22 მეტრი. მოკლე ჩართვის ალბათობა მეტრა და ჩამოვარდინის შემთხვევაში საფრთხის შემცველია, როგოც ქვეითად მოსიარულესათვის, ისე სატრანსპორტო საშუალებისათვის. გამოსავალი არის არის გამწვანების ზოლი, სადაც შეიძლება მოეწყოს გარე განათება".

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „შეიძლება ვიფიქროთ ასევე ელექტროსადენების მიწის ქვეშ გადატანაზეც, რომ საფრთხე შემცირდეს".

კომისიის წევრი ბატონი **კობა გურული:** „ბოლო პერიოდში ბევრი პრობლემა იქმნება ნინოშვილის, ილ.ჭავჭავაძის გამზირისა და ნიკეას ქუჩის კვეთაზე ავტომობილების ნაკადის შეფერხების გამო, „გორგიას" მხრიდან საცობების სიდიდე გაიზარდა რაც ქუჩის რეაბილიტაცია მოხდა, თუ შეილება აღნიშნულის შეცვლა და ლოდინის რაიმე ოპტიმალური რეჟიმით ჩანაცვლება?"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთგანათების სერვისის"-ის ხელმძღვანელი, ბატონი **მალხაზ ბასილაძე:** „რთულია, ვინაიდან ეს სისტემა აწყობილია პროპორციულ რეჟიმზე ერთს რომ ზრდი, ანუ გატარებას რომ ზრდი, დაყოვნებაც იზრდება. ახალგაზრდობის გამზირის მიმართულებით მოვახდინეთ 16 წამიანი მიმართულების დამატება, ჭავჭავაძეზე პანდუსი-ესტაკადა იმისთის გაკეთდა, რომ ავტომობილებს ემოძრავათ ასათიანის ქუჩაზე პირდაპირ, ჩასულიყვნენ ნიკეას პირველ შესახვევში და პანდუსით ამოსულიყვნენ, თუმცა ვერ მოგვარდა ვერც განათება და არც ისე უსაფრთხოა იქ მოძრაობა".

კომისიის წევრი, ბატონი **გია ბასილაძე:** „ირ. აბაშიძის გამზირის მეორე მხარეზე რომ არ არის მოწესრიგებული განათება, აღნიშნულის მოგვარება თუ განიხილება?"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთგანათების სერვისის"-ის ხელმძღვანელი, ბატონი **მალხაზ ბასილაძე:** „ჩემი კომპეტენციის ფარგლებში ვერ განიხილება, რათა საჭიროა ჩატარდეს კაპიტალური სამუშაოები, რაც ჩემი სამსახურის კომპეტენციას სცდება, სასურველია ეს საკითხი მომდევნო წლის ბიუჯეტმა გაითვალისწინოს".

კომისიის წევრი ქალბატონი **მაია სიმონიძე:** „ეს ადამიანი გამორჩეული საჯარო მოხელეა და სამსახურიც ძალიან კარგად მუშაობს".

კომისიის წევრი წევრი ბატონი **გიორგი კილაძე:** „ბატონი მალხაზი გამორჩეული მოხელეა, კომპეტენტური და პატიოსანი, იგი ოპერატიულად აგვარებს ქალაქისათვის მნიშვნელობან ყველა პრობლემას და მას მხარს დავუჭერთ".

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „მეც ვუერთდები სამადლობელ სიტყვებს ბატონი მალხაზის მიმართ და თუ სხვა შეკითხვები არ არის, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს".

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 14 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, მამუკა რიჟამაძე, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ირაკლი შენგელია, ელეონორა არჩაია, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. წარმოდგენილი საკითხი, „ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისის" მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ" ცნობად იქნეს მიღებული და შეფასდეს დადებითად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მერვე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2022 წლის ივლისიდან 2023 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ"**

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბაქარ მახარაძემ:** „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესაბამისად, საკრებულოს რეგლამენტით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია აქტიურად არის ჩაბმული საკრებულოს სამუშაო პროცესში, მონაწილეობს საკრებულოში შემოსული პროექტების განხილვაში, ამზადებს შენიშვნებს, რეკომენდაციებს,

დასკვნებს და შემდგომში მიღების მიზნით გადასცემს შესაბამის ორგანოებს. კომისია შედგება 16 წევრისაგან, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია აქტიურად იყო ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფორმირებასა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვაში. 2023 წლის ბიუჯეტის პარამეტრების ფორმირებისას კომისიამ სამუშაო შეხვედრებში, სამსახურებთან მიიღო მონაწილეობა პარამეტრების შეთანხმების პროცესში, 2023 წლის ბიუჯეტის მეორე (საბოლოო) ვარიანტში აისახა კომისიის შენიშვნები და რეკომენდაციები, რომელიც შემუშავდა 2022 წლის ნოემბრის ხდომაზე წარმოდგენილი ბიუჯეტის პირველი ვარიანტის მიმართ. მიმდინარე წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი დამტკიცდა 2022 წლის 23 დეკემბრის კომისიის სხდომაზე და მომზადდა შესაბამისი დასკვნა, მუშაობის კოორდინირების მიზნით კომისიამ შეიმუშავა და დაამტკიცა 2023 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც გახდა კომისიის ძირითადი სამუშაო დოკუმენტი. გეგმის მიხედვით, კომისიის სხდომებზე იხილებოდა ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირების განვლილი პერიოდის საქმიანობა და სამომავლო პერსპექტივები, წინასწარ ცნობილი განრიგის მიხედვით, ანგარიშვალდებული ორგანოები კომისიაში წარმოადგენენ ინფორმაციას, რომელიც განხილვის მიზნით, ეგზავნებათ კომისიის წევრებს, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მიმდინარე მოწვევის პერიოდში, ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 12 (თორმეტი) სხდომა. მათზე განხილულია 42 (ორმოცდაორი) საკითხი, ჩატარებული ყველა სხდომა იყო საჯარო, ჩაშლილი ან გადადებული არ ყოფილა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის არც ერთი სხდომა, ყველა მათგანზე იყო მოწვეული აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები. 2023 წლის 27 მარტის გაერთიანებულ სხდომას ასევე ესწრებოდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ პრაქტიკაზე მყოფი ეკონომიკის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტები, საანგარიშო პერიოდში კომისიამ იმსჯელა შემდეგ ძირითად საკითხებზე: მომზადდა წინადადებები და რეკომენდაციები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის და შესახებ და მიეწოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას, განიხილა და შეაფასა 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგები და წარადგინა შესაბამისი წინადადებები, საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა ბიუჯეტის 5 ცვლილება. აქედან, 2022 წლის ბიუჯეტს შეეხო ორი (მეოთხე და მეხუთე ცვლილება), ხოლო მიმდინარე წლის ბიუჯეტის მიმართ განხილულ იქნა სამი ცვლილება. ყველა დასახელებულ ცვლილებაზე კომისიის მიერ მომზადდა და საკრებულოს მიეწოდა დადებითი დასკვნა, განხილულ იქნა ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები, 2023 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მოცულობები და მათი მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა, კომისიის მიერ მომზადდა და მიეწოდა საჯარო ინფორმაციები სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს მათი მოთხოვნის საფუძველზე (როგორც საკრებულოს მიერ მომზადებული კრებსითი ინფორმაციის ნაწილი), სოციალურ საკითხთა სამსახურის მუშაობის კომისიური განხილვის და ანალიზის შედეგად, მოსახლეობის საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინების და მოწყვლადი ჯგუფების გაფართოების მიზნით მომზადდა რეკომენდაციები სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამაში ცვლილებების შესატანად. მიმდინარე წლის 28 ივნისის საკრებულოს სხდომამ მხარი დაუჭირა ამ ცვლილებებს, რითაც მნიშვნელოვნად გაფართოვდა ამ პროგრამისადმი ჩვენი ქალაქის მოსახლეობის

ხელმისაწვდომობა, მოსმენილ იქნა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის და თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების ანგარიშები (ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის, სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახური, ა(ა)იპ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება, კულტურის, სპორტის, განათლების და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, სოციალურ საკითხთა სამსახური, ა(ა)იპ „მადლიერების სახლი", ა(ა)იპ ი.ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, ა(ა)იპ „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება", ა(ა)იპ "სპეციალური სერვისები", ა(ა)იპ "ქუთგანათების სერვისი", ა(ა)იპ „ფოლკლორის ცენტრი-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი", ა(ა)იპ „ქ. ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი", შპს "ქუთაისის მე-4 შერეული პოლიკლინიკა", შპს "რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი", შპს "საფეხბურთო კლუბი „მართვე", ა(ა)იპ ქუთაისის ხელბურთის კლუბი „ქუთაისი -2015") განვლილ/საანგარიშო პერიოდებში გაწეული მუშაობის შესახებ, კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა და რეკომენდაცია მიეცა მდგრადი განვითარების მიზნების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დოკუმენტს, ასევე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციის დამტკიცებას, კომისიამ სხდომებზე განიხილა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N55 დადგენილებაში შესატანი სამი ცვლილება, რომელთა შესახებაც მომზადდა შესაბამისი დასკვნები და მიეწოდა საკრებულოს, კომისიამ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა USAID-ის პროგრამასთან, რომლის კოორდინირებით შემუშავების პროცესშია „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2023-2025". მოეწყო ორი შეხვედრა. კომისიამ მოამზადა შენიშვნები და რეკომენდაციები წარმოდგენილი დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებით, მიმდინარეობს მუშაობა და წინადადებების მომზადება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებაში შესატანი ცვლილებებთან დაკავშირებით, კომისიამ საკრებულოს განსახილველად წარუდგინა ერთი სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელზეც მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება. საფინასო-საბიუჯეტო კომისიის შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტებია: 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებულ სამუშაოებში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა; საკრებულოსათვის დასკვნების წარდგენა კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მონიტორინგი და ანგარიშგება (მათ მიერ ცალკეული პროგრამების განხორციელების მიმართულებით); სამართლებრივი აქტის პროექტების მომზადება და საკრებულოსათვის წარდგენა; ძირითადი პრობლემატური საკითხების შესწავლა-გაანალიზება შემდგომი რეაგირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში საკრებულოს სხდომაზე განხილვის მიზნით; 2024 წლის ბიუჯეტის საორიენტაციო პარამეტრების შემუშავებაში მაქსიმალური ჩართულობა; მჭიდრო თანამშრომლობა და აქტიური სამუშაოების წარმართვა USAID-ის პროგრამასთან დოკუმენტის „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სტრატეგია და სამოქმედო

გეგმა 2023-2025“ ფორმირებასთან და მის შემდგომ რეალიზაციასთან დაკავშირებით; ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებების განხილვა, მათზე სათანადო რეაგირება.“

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 14 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, მამუკა რიჟამაძე, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ირაკლი შენგელია, ელეონორა არჩაია, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-10, თავი შეიკავა ქალბატონმა ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა:გიორგი კილაძემ, გრიგოლ შუშანიამ და გაგა მანაგაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. წარმოდგენილი საკითხი, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2022 წლის ივლისიდან 2023 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ“ ცნობად იქნეს მიღებული და შეფასდეს დადებითად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეცხრე საკითხის- **„შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის“ მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ“**

აღნიშნული საკითხი წარმოადგინა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი“-ის შესყიდვების სპეციალისტმა, ბატონმა **ლაშა ლიპარტიანმა:** „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შპს "რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის“ დაფინანსებიდან შრომის ანაზღაურებაში გათვალისწინებულია 276 000 ათასი ლარი და ამ ეტაპზე გახარჯულია 91 724 ათასი ლარი. საქონელი და მომსახურება 124 800 ათასი ლარია, საიდანაც გახარჯულია 29 526 ათასი ლარი. საკმაოდ დიდი თანხა გაიხარჯა კომუნალურების მხრივ და შესაბამისად, წლის ბოლომდე მოგვიხდება 300 ათასი ლარის დამატება. მოგეხსენებათ, სტადიონი სრულიად რეაბილიტირებულია, ჩატარდა 21 წლამდელთა ჩემპიონატი, განახლებულია საფარი, ადმინისტრაციული კორპუსი, რისთვისაც მადლობას ვუხდით თვითმმართველობას და რგფ-ს“.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი ბატონი **გიორგი კილაძე:** „კარგი იქნებოდა თქვენი ხელმძღვანელი დასწრებოდა დღევანდელ სხდომას, იყო კითხვები სტადიონის ფერთან და მოწყობასთან დაკავშირებით, ასეთი შეხვედრები წელიწადში ერთხელაა და სასურველია, რომ დაესწროს“.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი“-ის შესყიდვების სპეციალისტი, ბატონი **ლაშა ლიპარტიანი:** „ცვლილებების შეტანას რაც შეეხება, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ხელმძღვანელობას პასუხები

ვერ ექნებოდა, რადგან ცდება ჩვენს კომპეტეციას. ამის გამო, სტადიონის მოწყობასთან დაკავშირებით ნებისმიერ საკითხზე ცვლილება საკმაო რთული იყო, ერთადერთი რაც განვახორციელეთ, არის კიბეების ფერის შეცვლა".

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე**: „სტადიონის რეაბილიტაცია ახლახანს დასრულდა, ჩვენ შეგვიძლია წლის ბოლომდე კიდევ მოვიწვიოთ ხელმძღვანელი და სრულაფასოვნად მოვისმინოთ მისი ანგარიში, ხოლო იმ კითხვებთან დაკავშირებით, რომელიც მის კომპეტენციას აღემატება, შეგვიძლია ასევე წერილობით მივმართოთ რგფ-ს, თუ სხვა შეკითხვები არ გვაქვს, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს".

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 14 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, მამუკა რიჟამაძე, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ირაკლი შენგელია, ელეონორა არჩაია, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-10, თავი შეიკავა ქალბატონმა ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა:გიორგი კილაძემ, გრიგოლ შუშანიამ და გაგა მანაგაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. წარმოდგენილი საკითხი, „შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის" მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ" ცნობად იქნეს მიღებული და შეფასდეს დადებითად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეათე საკითხის- **„ა(ა)იპ ხელბურთის კლუბი „ქუთაისი 2015"-ის მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ"**

აღნიშნული საკითხი წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ხელბურთის კლუბი „ქუთაისი 2015"-ის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ზურაბ ყაველაშვილმა**: „ჩვენთან არის 21 თანამშრომელი აქედან სამი არის პასუხიმგებელი პირი: დირექტორი, ბუღალტერი, პიარი, აგრეთვე 4 მწვრთნელი, 13 სპორტსმენი. 4 მოწვეული სპორტსმენი გვყავს, რომლის ქირის თანხას ჩვენი ვფარავთ, ჩვენი დაფინანსება შეადგენს 264.5 ათას ლარს, ამჟამად გახარჯულია 155.80 ათასი ლარი. გასული წლის ჩემპიონები ვართ, წელს სამწუხაროდ, ფლეიოფიდან ვერ გავედით".

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე:** „რა ასაკის არიან თქვენს გუნდში სპორტსმენები და რა პერიოდს მოიცავს ვარჯიში?"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ხელბურთის კლუბი „ქუთაისი 2015"-ის ხელმძღვანელი, ბატონი **ზურაბ ყაველაშვილი:** „18 წლიდან 32 წლის ჩათვლით, ვარჯიშები გვაქვს ყოველდღიურად, დღის მეორე ნახევარში, სპორტის სასახლეში".

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე:** „სპორტსმენებს რამდენი აქვთ ხელფასი? სხვა საქმესაც თუ ეწევიან?"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ხელბურთის კლუბი „ქუთაისი 2015"-ის ხელმძღვანელი, ბატონი **ზურაბ ყაველაშვილი:** „ორი სპორტსმენი საქართველოს ნაკრების წევრია და მათ აქვთ 1500 ლარი. სხვებს კი 600-დან 900 ლარამდე. მათ შეუძლიათ სხვაგანაც იმუშაონ ნაწილობრივ, რადგან ვარჯიშები საღამოს გვაქვს".

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „წლის პირველ ნახევარში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 155,8 ათასი ლარი, რაც წლიურის 59%-ია. რამ განაპირობა აღნიშნული?"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ხელბურთის კლუბი „ქუთაისი 2015"-ის ხელმძღვანელი, ბატონი **ზურაბ ყაველაშვილი:** „სამივლინებო ხარჯებში მოიმატა კვების ხარჯმა და გაიზარდა თამაშების რაოდენობა, სწორედ აქედან არის ასეთი მაჩვენებელი".

კომისიის წევრი, ბატონი **გია ბასილაძე:** „ევროტურნირებზე თუ გადიხართ?"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ხელბურთის კლუბი „ქუთაისი 2015"-ის ხელმძღვანელი, ბატონი **ზურაბ ყაველაშვილი:** „სამწუხაროდ არა, დიდ ხარჯებს უკავშირდება".

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეათე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 14 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, მამუკა რიჟამაძე, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ირაკლი შენგელია, ელეონორა არჩაია, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-10, თავი შეიკავა ქალბატონმა ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა:გიორგი კილაძემ, გრიგოლ შუშანიამ და გაგა მანაგაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. წარმოდგენილი საკითხი, „ა(ა)იპ ხელბურთის კლუბი „ქუთაისი 2015"-ის მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ" ცნობად იქნეს მიღებული და შეფასდეს დადებითად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხის- „შპს „საფეხბურთო კლუბი მართვე"-ს მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი

სამუშაოების შესახებ“

აღნიშნული საკითხი წარმოადგინა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი მართვეს“ ხელმძღვანელმა, ბატონმა **გიორგი ჩხიკვაძემ:** „ჩვენი დაფინანსება შეადგენს 160 ათას ლარს, საიდანაც გახარჯულია 71.2 ათასი ლარი. კლუბში 21 ადამიანია დასაქმებული, ეს მოიცავს როგოც ხელმძღვანელ პირებს, ასევე მწვრთნელებს და ფეხბურთელებს. წინა წელთან შედარებით თანხა შემცირებულია და ვფიქრობთ, რომ მთლიანად ავითვისებთ ამ თანხას, რადგან დაგეგმილი გვაქვს ახალი ფორმების შეძენა. ასევე, კლუბი ფინანსდება ფეხბურთის განვითარების ფონდიდან, რაც შეადგენს 20 ათს ლარს. აქედან გახარჯული არის 13 ათას ლარამდე. ამჟამად ჩვენი საფეხბურთო კლუბი იმყოფება მე-8 ადგილზე, წინა წელს ჩემპიონებიც გავხდით. კლუბი მე-8 ადგილზეა და ამჟამად გვიწევს ბრძოლა ლიგაში დარჩენისათვის“.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **გია ბასილაძე:** „ჩემპიონები იყავით და ამჟამად რატო გაქვთ ასეთი მდგომარეობა, რამ გამოიწვია ვარდნა?“

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი მართვეს“ ხელმძღვანელი, ბატონი **გიორგი ჩხიკვაძე:** „მოგეხსენებათ კლუბის გასხვისებაზე იყო საუბარი, ქუთაისის „ტორპედოს“ ხელმძღვანელობა იყო დაინტერესებული, მაგრამ გამოცხადებულ აუქციონზე მონაწილეობა აღარ მიიღეს, გასხვისებამდე „ქუთაისის ტორპედოს“ ხელმძღვანელობის მოთხოვნა იყო რომ ტრანსფერები არ გაგვეხორციელებინა, ამ სელექციამ თავისი შედეგი გამოიღო“.

კომისიის წევრი, ბატონი **გია ბასილაძე** „გასხვისების საკითხი როგორ გადაწყდა?“

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი მართვეს“ ხელმძღვანელი, ბატონი **გიორგი ჩხიკვაძე:** „ამ მომენტში შეჩერებულია ეს საკითხი“.

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** თქვენს მწვრთნელთან დაკავშირებით იყო პრობლემები, რამაც ალბათ რეპუტაციაზეც იმოქმედა“.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი მართვეს“ ხელმძღვანელი, ბატონი **გიორგი ჩხიკვაძე:** „დიახ, პრობლემები იყო, როგორც კი აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მწვრთნელი შეიცვალა და ამჟამად არის გიორგი გაბიჩვაძე, იგი საუკეთესო მწვრთნელადაა აღიარებული საქართველოში“.

კომისიის წევრი, ქალბატონი **ნინო ბიბილეიშვილი:** „საუკეთესო შედეგი რა გქონდათ ბოლო წლებში?“

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი მართვეს“ ხელმძღვანელი, ბატონი **გიორგი ჩხიკვაძე:** „საქართველოს ჩემპიონობა 2017 წელს“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის აზრი წარმოდგენილ საფინანსო ანგარიშთან დაკავშირებით არის პოზიტიური, ხარჯვით ნაწილში ათვისების პროცენტი ნორმალურია, 44,5% წლიური ხარჯების, იურიდიულ საკითხებს ჩვენ არ ვიხილავთ, მოთამაშეთა რაოდენობა არ გაზრდილა. ბიუჯეტთან დაკავშირებით ცუდი შედეგები არ გვაქვს. თუ არ არის სხვა შეკითხვები, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს“.

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 14 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, მამუკა რიჟამაძე, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ირაკლი შენგელია, ელეონორა არჩაია, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-10, თავი შეიკავა ქალბატონმა ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონებმა:გიორგი კილაძემ, გრიგოლ შუშანიამ და გაგა მანაგაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. წარმოდგენილი საკითხი, „შპს „საფეხბურთო კლუბი მართვე"-ს მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ" ცნობად იქნეს მიღებული და შეფასდეს დადებითად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხის- **„შპს საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010"-ის მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ"**

აღნიშნული საკითხი წარმოადგინა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი 2010"-ის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ტრისტან ჭაბუკიანმა:** „ჩვენი წლიური დაფინასება შეადგენს 1200 ათას ლარს, ამჟამად გახარჯულია 675 ათასი ლარი. კლუბში ამჟამად დასაქმებულია 9 ადამანი, ვინაიდან ვდებთ 9 თვიან ხელშეკრულებას და მაისის ბოლოსთვის მოთამაშეებთან ვწყვეთ კონტრაქტებს. წინა წელს ჩემპიონები გავხდით, წელს გვაქვს ცუდი შედეგი, ვინაიდან ბევრი ტრავმირებული სპორტსმენი გვყავს. გუნდის კაპიტანი წავიდა გუნდიდან (დაამთავრა კარიერა), უცხოელები მოთამაშეებიც წავიდნენ".

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „ჩემი აზრით, პრობლემა არ არის მხოლოდ დაფინანსებაში, წელს თბილისმა დაამატა ახალი გუნდები, თბილისთან ახლოს მდებარე გუნდებს გაუჩნდათ ფინანსური რესურსები და კონკურენცია გაიზარდა, ხელშეწყობა ჭირდება და არამხოლოდ ფინანსური, ჩვენ ვსაუბრობთ ბავშვთა კალათბურთზე, ჩემი აზრით უნდა შევქმნა 20 წლამდელთა გუნდი, რომელიც იქნება კარგი ბაზა ქუთაისის საკალათბურთე კლუბის შესავსებად, ამას თუ შევუწყობთ ხელს პერსპექტიული და ნიჭიერი ახალგზარდები არ მიატოვებენ კალათბუთს, ახლა ესენი 18 წლის ასაკში წყვეტენ კარიერას და იკარგებიან, კლუბებში ვერ ხვდებიან.

კომისიის წევრი, ბატონი **გიორგი კილაძე:** „ჩემი აზრით, საჭიროა გავასხვისოთ ეს კლუბიც, როგორც გავასხვისეთ „ქუთაისის ტორპედო" და 1300 ათასი ლარი სხვა რამეს მოვახმაროთ"

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი 2010"-ის ხელმძღვანელი, ბატონი **ტრისტან ჭაბუკიანი:** „ფედერაციაში დაინიშნა ახალი პრეზიდენტი, დიდი გეგმებით და ახორციელეს ამ გეგმებს, ფედერაციას მხარდაჭერა აქვს

აგრეთვე მთავრობიდანაც. 11 გუნდი ვართ სულ ჩემპიონატში და 9 გუნდი იყო თბილისში, დაიწყო ამ გუნდების რეგიონებში გადატანა, ამ კლუბებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტიც და ფედერაციაც აფინანსებს. გუნდებს გაეზარდათ ბიუჯეტები და ჩვენსკენ აღარ მოდიან, მაგალითად, გურჯაანში თამაშობენ და თბილისიდან წინა დღით ჩადიან, ჩვენთან კალათბურთელთა ასაკი 17-32 წელია".

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „სამწვრთვნელო სტაფი როგორია?"

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი 2010"-ის ხელმძღვანელი, ბატონი **ტრისტან ჭაბუკიანი:** „სამწვრთვნელო სტაფი არის უცვლელი: 4 მწვრთელი, მასაჟისტი და ექიმი. ვფიქრობთ 20 წლამდელთა ნაკრების შექმნას, საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანას, BBBL - ტურნირებზე მონაწილეობას. ამ ნაკრებს ერქმევათ დუბლი, ამ კუთხით მოხდება პერსპექტიული და ნიჭიერი ახალგაზრდების შენარჩუნება კლუბში, რომლებიც 18 წლის ასაკის შემდგომ აღარ აგრძელებენ კალათბურთის თამაშს, აღნიშნულის ჩამოყალიბებით კლუბის ძირითადი გუნდიც გაძლიერდება. შარშან ძალიან ტრავმირებული კალათბურთელები გვყავდა, ფიზიკურად მარაგი არ იყო და 18 წლამდელებს სპორტსკოლის გუნდიდან ვიმატებდით, რომ ევარჯიშათ და განაცხადში ყოფილიყვნენ, გვინდა აგრეთვე 18 წლამდელებს დავამატოთ 16 წლამდელი ახალგაზრდები და აკადემიის სახე მივცეთ".

კომისიის წევრი, ბატონი **გია ბასილაძე:** „საქართველოს პირველობა ტარდება 20 წლამდელთა მიხედვით?"

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი 2010"-ის ხელმძღვანელი, ბატონი **ტრისტან ჭაბუკიანი:** „დიახ, ტარდება. მომავალი წლიდან გუნდებს დაავალდებულებენ იქონიონ 20 წლამდელთა გუნდები".

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „ევროპის რამდენიმე ქვეყანაში სპორტის სტიმულირების მიზნით ბიზნესს აძლევენ საგადასახადო შეღავათებს, თუ სპორტულ კლუბებს დააფინანსებენ, იქნებ ამაზეც ვიფიქროთ ცოტა მაღალ სახელისუფლებო დონეზე".

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 14 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, მამუკა რიჟამაძე, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ირაკლი შენგელია, ელეონორა არჩაია, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. წარმოდგენილი საკითხი, „შპს საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010"-ის მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ" ცნობად იქნეს მიღებული და შეფასდეს დადებითად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხის- „ა(ა)იპ „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ მიერ **2023** წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ“

აღნიშნული საკითხი წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ბუღალტრული აღრიცხვის და სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსმა, ქალბატონმა **ნარგიზა ხვადაგიანმა:** „ჩვენი დაფინასება 2023 წელს შეადგენს 5 745 ათას ლარს, მათ შორის შრომის ანაზღაურებაში არის 3505 ათასი ლარი. მიმდინარე წლის 6 თვეში ათვისებულია 2 756 ათასი ლარი, რაც გეგმის 48%-ს შეადგენს. „საქონელი და მომსახურების“ წლიური გეგმიური ასიგნება 1445.0 ათასი ლარია, ფაქტობრივად გახარჯულია 786.3 ლარი (გეგმის 54 %). აღნიშნული მუხლიდან დაფარული იქნება შტატგარეშე მომუშავეთა მივლინებების, ოფისის, კომუნალური გადასახადებისა და ტექნიკის მოვლისა და ექსპლუატაციის ხარჯები და სხვა. „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლში წლიური გეგმიური ასიგნება შეადგენს 25.0 ათას ლარს, ფაქტობრივად გახარჯულია 17.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 68%-ს შეადგენს. სხვა ხარჯების მუხლში წლიური გეგმიური ასიგნები 670 ათასი ლარია, ფაქტობრივად გახარჯულია 476.9, რაც გემის 71% შეადგენს. აღნიშნულ მუხლით ფინანსდება სპორტული ღონისძიებების გუნდური მივლინებები. ალბათ ამ მუხლში დაგვჭირდება თანხის დამატება, რადგან გაიზარდა კვების თანხები, ამის გამო გაიზარდა დანახარჯიც. არაფინასურ აქტივებში წლიური გეგმა არის 100 ათასი ლარი, ექვს თვეში გახარჯულია 43.4 ათსი ლარი,რაც გემის 43% შეადგენს“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „თუ გახსოვთ, ჩვენს შარშანდელ სხდომაზე, სადაც თქვენი საკითხი იხილებოდა, იქაც გვქონდა შენიშვნა კვების თანხებთან დაკავშირებით“.

კომისიის წევრი, ბატონი **გია ბასილაძე:** „ჩემი წინადადებაა, თუ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი არ იქნება, საკითხი არ განვიხილოთ და გადავდოთ, ეს უპასუხისმგებლობა და უპატივცემულობაა“.

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „ალბათ იქნებით საქმის კურსში, რემონტი რომ ჩაუტარდა მძლეოსნობის სკოლას, იქ იატაკი არის დეფორმირებული. ბავშვმა შეიძლება რამე დაიზიანოს, არა მხოლოდ ბავშვმა, იქ ბევრი სპორტსმენი ვარჯიშობს, ეს სერიოზული პრობლემაა და გამოსწორება ესაჭიროება, მეორე საკითხი არის ის, რომ საშხაპეებში წყალი არ მოდის, რადგან ვერ მოხდა ბოილერის დამონტაჟება, შემსრულებელთან მიმდინარეობს დავა და ვერ ხდება ამ საკითხის მოგვარება, ამ ეტაპზე ჩვენ ავანაზღაუროთ და მოვხსნათ პრობლემა, დავის დასრულების შემდგომ ბიუჯეტში დავიბრუნოთ თანხა, მესამე საკითხი არის ინვენტარით უზრუნველყოფა, საკმაოდ მოძველებული და მწყობრიდან გამოსული ინვენტარით ვარჯიშობენ, გთხოვთ, ბიუჯეტის ფორმირებისას გავითვალისწინოთ ეს საკითხები“.

კომისიის წევრი, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე:** „სპორტულ ღონისძიებებზე წასასვლელ ხარჯებს რა ასაკიდან ანაზღაურებთ საქართველოს ფარგლებში და საზღვარგარეთ?"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების" ხელმძღვანელის მოადგილე **ვაჟა უნგიაძე:** „ქვეყნის შიგნით ნებისმიერი ასაკიდან ვაფინანსებთ ხარჯებს, საზღვარგარეთ ტურნირებს კი ვერ ვაფინანსებთ, მსოფლიო ჩემპიონატებზე მონაწილეობას ფედერაცია აფინანსებს".

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „საზღვარგარეთ მონაწილეობის დაფინანსებაში კარგი იქნება თუ რაიმე კვოტას ჩავდებთ ბიუჯეტში, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, მაგალითად სატრანსპორტო ხარჯების დაფინანსების კუთხით".

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „ააიპ-ს არ გაქვთ ყოველწლიურად გათვალისწინებული ინვენტარის შესაძენად თანხა? თუ არის ბავშვების მომართვიანობა?"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების" ხელმძღვანელის მოადგილე **ვაჟა უნგიაძე:** „ბავშვთა მომართვიანობა სხვადასხვა სახეობებში მაღალია, ინვენტარის შესაძენად თანხა გათვალისწინებული გვაქვს".

კომისიის წევრი, ბატონი **გიორგი კილაძე:** „ახალ აუზში ძველი აუზის აღსაზრდელები გადმოვლენ?"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების" ხელმძღვანელის მოადგილე **ვაჟა უნგიაძე:** „დიახ, რამდენიმე თვეში გადმოვლენ".

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „მომავალი წლის ბიუჯეტში იქნებ გავითვალისწინოთ, რაც მნიშვნელოვანია. რამდენიმე თვეში საცურაო აუზის შედეგებიც გვექნება და სამი კვარტლის შედეგებით ალბათ უფრო ზუსტ პასუხებს მივიღებთ."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 14 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, მამუკა რიჟამაძე, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ირაკლი შენგელია, ელეონორა არჩაია, დარეჯან ფხაკაძე, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-13, თავი შეიკავა ბატონმა გიორგი კილაძემ)**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

მუხლი 1. წარმოდგენილი საკითხი, „ა(ა)იპ ,,ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების" მიერ **2023** წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობისა და წლის ბოლომდე

განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ“ ცნობად იქნეს მიღებული და შეფასდეს დადებითად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების გაერთიანებულმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო
მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე — ამირან კოპალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე — ზაქარ მახარაძე